# ცისკარი.

# ქართული

## სალიტერატურო

## ჟურნალი.

1857

№ 4. აპრილი.

ტფილისს.

# ცისკარი.

# ქართული

## სალიტერატურო

## ჟურნალი.

რედაკტორი და გამომცემი ივ. კერესელიძე.

«თუ შეიყვარო სმენად, მიითვალო, და უკეთუ მიუპყრა ყური შენი, ბრძენ იქმნე.»
(წიგ. ისოკირ. თავი 6. მუხ. 34.)

**1857 წლისა.**

წიგნი მეოთხე.

აპრილი.

ქართულის სალიტერატურო ჟურნლის სტანბაში.

ქ. თბილისს.

ПЕЧАТАТЬ ПОЗВОЛЯЕТСЯ

съ тѣмъ, чтобы по отпечатаніи представлено было въ Ценсурный Комитетъ узаконенное число экземпляровъ, г. Тифлисъ. 1 Марта 1857 года.
Исправляющій должность Грузинскаго Ценсора Св. Алексѣевъ.

# ცისკარი.

## ქართული

## სალიტერატურო ჟურნალი.

## პოეზია.

### მოთქმა გლახაკისა.

როდემდის უნდა ესრეთ ვიტანჯო;
როდემდის უნდა ყოველთ ვეაჯო,
ვით მალმიძს ანუ ენა ვით მოსთქვამს,
თუ რავდენ გზითა მწუხარება მწვამს!
ყოველთ ვჰსჭრჭუტ დიდის მოწიწებითა,
მოწყალებას ვჰსთხოვ მათ ვედრებითა.
ზოგთა ასტკივათ ჩემთვს რა გული,
ჴელსა მიჰყრობენ, აქვსთ სიბრალული;
მაგრამ როს კაცნი ვიეთნი ჭმუნვით
მომხედვენ, ნეტარ ვიტანჯები ვით!
ჰსჩანს, რომ თხოვნითა ჩემით სწუხდების,
მის გამო თავი ჩემი სძულდების.

მას ხომ ვინ მოსთვლის, ვის უძლებს გული,
რაოდენს სიხარულს ვარ მოკლებული.
ვხედავ სხვათ ჩემს გარს სიამოვნებით,
მე კი დავშორვარ მათ უძლებლობით.
სიგლახაკითა ყოველსა ვმყოფვარ;
ყოველს სიხარულს გამოვრჩეულვარ,
და რა ვხედავ ჩემს სატკივარ ბედსა,
ფიქრსა ვეძლევი, ვიწყვეტ იმედსა,
წუთი მაინცა მქონდეს საამო,
ერთს წუთს მაინც ჩემს გულს რამ ჰაამო...
დილით რა თვალნი იხილვენ ნათელს,
დატკბობის ნაცვლად, ვეძლევი ნაღველს,
ვფიქრობ: საითკენ ან ვის მივმართო,
და დღისა საზრდო სით გავიმართო?
ვაჲ თუ ამაოდ დავშვრე მსვლელობით,
ლუკმის ფასი ვერ ვპოვო სრულებით.
ვით დავირჩინო საბრალოდ თავი;
ვინ გამიჩნდების მე შემნახავი?
ვსთქვათ ან ვიშოვნე როგორმე პური,
ბოლოს ხომ უნდა ვიქმნე უძლური.
ვინ რას მომივლის, ვინ მიპატრონებს;
ჩემსა აჯასა ვინ გაიგონებს?
რაოდენი ფიქრი მომდის და ვზრუნავ;
სხვა და სხვა სახით რამდენჯერ ვმრწუნავ!...
ახ, ღმერთო! მორჩილი ვარ შენის ნების,
და მით ნუგეში მხოლოდ მეძლევის:

რომ მშჳენიერის ვრცელის ზყნებით,
ყოველი ხარობს სიამოვნებით;
ერთბამ ყოველთ მზე სიცხოველით ათბობს;
თჳს სხივთ ჭჳრეტითა ყოველთ დაატკბობს,
ყოველნი ვართ შენნი ერთბამ მოსავნი,
ერთის სახისა ვართ ნათესავნი;
სიკჳდილის უგზავნი ერთბამ ყოველთა,
მდიდართ, გლახაკთა და თჳთ მეფეთა.
მაშასადამე მეორეს სოფელს
გარდავივიწყებ აქაურს ყოველს,
იქნება მაქუნდეს იქ კარგი ბინა,
თუ რომ მიმიძღვის მადლი რამ წინა.
მაშ, შემოქმედო, სრულიად იმედი
არ მაქუს მოსპობილი, მეც იმედს ველი!...

ივ. კერესელიძე.

## გლოვა არშიკისა.

გრგვინვით ციურნო, მით მზიურნო, რა არს სმინება,
ლურჯმან ღრუბელმან ულტოლველმან მომცა წყინება,
სოფლისა მტრობამ, ორ-ფერობამ დამცეს შინება,
მოყვრისა გახდამ, სულის წახდამ, გულს მცა რბინება,
მიგლოვეთ ზარით, ცრემლით ცჳარით, თოვეთ დინება.

მევანდა მოყვარე, ბადრი მთვარე, სულისა სწო-რად,

სევდამ შემრაგნა, ალმან დაგნა, ვიხილენ ორად,
დავკარგენ გული, ჩემად თქმული, მიფარვით მორად,
შემექმნა მარად, დანაცარად, სევდისა სირად,
მე არ დადარე, იგი სადარე, მომეფინება.

ვაჲ მას ვიგლოვ ჩრდილობს ნასრან გულ მტი-
რალია,
დაბრუნდა ჩემთჳს მილევითა, აჰა მცხრალია,
ქვე დ̃ ზარაზრონ დაელარტოს შესაწყალია,
ორთა ცეცხლითა, სადაგველად, მომცა ალია,
გახშნა ამარტა უღიმებლად ლალცა ცინება.

მკვირან ამ სოფლის მუხთალობა, წამთა ურილობა,
ვეტრფოდი მზესა დ̃ მეგონეს სრულვათ გრძელობა;
სოფელმან ჭურ ცრცვნით საგლოვობით მომცა მკვლე-
ლობა
შემურდნენ ჩემნი მასთან შვება, მისი მცველობა
მგავთა არ დასცხრა დ̃ დახატნა გამოჩინება.

მას ვიტყვი ვინ არს წოდებული მთობა სახელად,
კრთებოდეს მუქი მოელვარე, ვიქმნე მნახველად,
ვსთქვი მზე არს ცისა, ორიონთა ციაგ მსახველად,
გესმის მისთჳსა მოვსთქვამ მადლის ხმით მომხედველად,
შეჭკრნა ირისე შეჭკალდრონი, მან რა ინება.

დავით ლეკტორი.

N

მითხარ ტურფავ! რად უჩივი, რათა ჰყვედრი სი-
ყვარულსა?

ნუ არწმუნებ, ნუ აშინებ მაგ გჳარ ჰაზრით ჩემსა
გულსა.
ჯერ შენ ესრეთ ყმაწვილი ხარ, მე არ მჯერავს შენი გული,
უდროო დროთი, მითომ იყოს, ტრფობისაგან დაჩაგ-
რული.
სიჭაბუკე შენი ჯერეთ მთვარეს ახალს ემსგავსება,
ვის სიტურფე, ელვარება, ყოველს ჟამსა ემატება.
თუ ჩემებრივ იყო, მაშინ მზის სხივიც ბნელ გეჩვენების,
თუ გულს შიგან ტრფობის ცეცხლი მცირედიცა
აღგენთების,
თუ შენ სიყმათა ჭმუნვა, ჭირი ეგოდენ ცრემლით
გაჰქრქვევინებს,
მაშა რისთჳს ეგ მაღალი, ეგ უმანკო შენი სული,
არა ემებს რომ იპოვნოს მისი მსგავსი ჩვილი გული,
დღეს კი გამოვიცანი მე შენი ეგე ჭმუნვარება:
გულ სურს ტრფობა და ეშინის ეს არს მისი მღელვარება.
გული შენი არის ჯერეთ გაუშლელი ტურფა ვარდი,
ელის მას დროს, ოდეს მზისა მას დახედავს შარავანდი.
მოვა ჟამი შენც გეწვევის, ტრფიალისა შვენი თვალი,
მაშინ არ ჰყვედრ სიყუარულსა, რომს აღგეგზნის
ტრფობის ალი.

N

## ვედრება.

ღმერთო მაღალო ძლიერო! დაუსაბამო მფლობელო!
ცათა, ზღჳათ, ჴმელთა, ჰაერთა მგებელო, შემზავე-
ბელო!
ყოველთ ქმნილთ არსთა, ცხოველთა, ყოვლისა
დამბადებელო!
უკჳდაო, მიუწდომელო, უზომოდ შემწყალებელო!

შენდა ვის მალუძს, ან ვინ ღირს კმოს შესა-
ბამი ჭედრება?
გინდ სრულად ამა სოფლისა აქჳნდეს სიბრძნე ჭ
მცნება.
ძირის-ძირ შენსა? არა რა: კაცი, ყოველი ბუნება.
შენით ჰსწარმოებს სრულიად: კეთილი, ყოფა, ჩინება.

შენ დასაბამით განსაზღჳრე ყოველი დაწესებითა,
შენ მადლის მდიერებითა ჰმართავ ყოველსა ნებითა,
შენ უხილავის მკლავითა: ჰზრდი, ჰსწურთნი ყოველთ
მცნებითა,
შენ წყალობითა დიდითა ჰყოფ კაცთა შენდა თნებითა!

სული უკჳდავი მოჰბერნე, მიწა კაცად ჰყავ მადლითა;
ნიჭება, სიტყჳერება, გრძნობა მიჰფინე ძალითა,
სრული სამყარო, სულ-დგმულნი ქჳემდებარ მისსა
ძალითა;
კჳლავ კეთილისთჳს აღუთქჳ სასყიდლად ზეცა მადლითა.

კაცი სულითვე უკჳდავი, სულით ზეცისა გჳარია,
სოფლად მოკჳდავი, ამაო, სოფლისა მინაგვარია,
საუკუნოსა, ვით ზღჳასა, ვით მიედრება ცჳარია,
ეგრეთ შენ, უზეშთაესო! ვინ, სად გუავს შესადარია?

ყოველი ძალი შენ გმონებს, ყოვლისა დამონებითა,
ხილული არა ხილული სრულისა მორჩილებითა,
ერთბამ: ცა ზღვითა, ქჳეყნითა, მეფე მონითა,
წყობითა.
თაყჳანსა გცემთ შენ მაღალო! თჳს თჳსის გულის
კმობითა.

კაცი გულითა ცნობითა, ჟამს მტკბარი, ჟამთა მწარება:
თუ არ წყალობა შენივე, კაცი ვით შეგევედრება.
გულთა მხილავო! თჳთ უწყი, კაცსა აქჳს თჳსი უვედრება.
გცოდავს, ინანის, კჳლავ უთმობ, როს სულით შეგე-
ვედრება.

მზრუნველო, მართლ-მსაჯულო! ყოველთა განმა-
გებელო!
მართალს ცად შემწყნარებელო, ცოდვილთ ქუეშ დამა-
მხობელო!
გულთა შემუსვრილთ, ჭირით მქონთა, ნუგეშო შემბრა-
ლებელო
შენ მხოლოს გედაღადებით, ყოველთ ჭირით გან-
მქარვებელო!

კაცთა ცთომილთა გვადირსე: სიმრთელე, სრული
გონება.
ბოროტთ განგვერიდეთ, კეთილსა გჳყოფდეთ, ვიმარხოთ
მით მცნება,
შენით მტერთ ჩუენთა ვებრძოდეთ, შენი გვფარვიდეს
განგება!
დასასრულ კეთილ-სიკუდილსა გვადირსე სულით ჩი-
ნება.

ყოველთ ჩუენთ ძმათა, მოყვასთა, ობოლთ, ქვრივთ
შეჭირვებულთა,
უსამართლობით დაჩაგრულთ, შეუწევნელთა, ტყუედ
ქმნილთა,
საწყალთ, დაცემულთ, უცხოთ, მგზავრთ, სნეულთ,
გონება-წუდემულთა,

შეგვიწყალეენ ჩუენ უფალო! მამა ხარ! ყოველთ
კრებულთა.

თ. ალ. ჩიქოვანი.

## ფარვანა და სანთელი.

ნეტა ვიცოდე, ეს სანთელი რისთვისა დნება?
ანუ ფარვანა რას დასტრიალებს რისთვისა კუდება?
დახე საწყალსა მის ალისგან ფრთები ეწვება,
მაგრამ მაინცა, არა ფრთხილობს და არ ეშვება.

ვაჲ! დაიწო, მირს ჩავარდა, შეიქმნა მკუდარი,
აი მეორეც, კიდევ მოფრინდა, ელტვის ვით მთრვალი,
თავი შესწირა, მისსა შუქსა, მის შვენებასა,
ესეც დაიწო და მიეცა მასვე გნებასა.

ფიქრში წაველი, დრო გავიდა ბევრი ღამისა,
სანთელმა იკლო, აღარ მნათობს, არა აქუს შუქი,
შანდლიდგან მლივს სჩანს უკანასკნელი მისი პატ-
რუქი,
ესეც დაიწო! სჩანს არ ისრუვა არც მან სიცოცხლე
თავის თავისა.

რისთვის დაიწვნენ, ან ფარვანა და ან სანთელი?
რისთვის ირჩივა ფარვანამა ბნელსა ნათელი?
რათ არა იცნა საბრალომან თავისა მკუდელი?

მან რა იცოდა თუ ეს სოფელი არა არს გრცელი;
ყოველი ნივთი ერთმანეთის არის დამწველი.

ოდესცა ერთათ გახდებიან შეერთებული,
როგორც მან ალმან, ცეცხლისამან დაჰსწო სანთელი!

თ. ნ. ჩ.

## ჭრიჭინა და ჭინჭველა.

ჭრიჭინამ ერთხელ ჭრიჭინით მთელი ზაფხული
ატარა,
მერმე შიმშილმა შებნიდა, რა ცამან თოვა ჰატარა.
ჭია არსად სჩნდა,
ბუზი არსად სჯდა,
რა ექმნა საწყალს დამშეულს? სხუა ღონე ვეღარ
იპოვა,
მეზობელს ჯინჭველს მიჰმართა, და მისგნით საზრდო
ითხოვა.
რავდენსმე მარცვალს ესესხა კჳლავ ახალისა მოსა-
ვალამდის,
შეჰფიცა თავნს და სარგებელს, მოგცემ გათათვის გა-
სვლამდის.
ჯინჭველი სესხს ვერ ეწუობა.
ვერც ვის ადვილად ენდობა
და ჰკითხა: ძმაო ჭრიჭინავ! მანამ ზაფხული დარობდა;
მანამ სხუა და სხუა საზრდელით ტყე და მინდორი
მრავლობდა,
ნეტარ შენ მაშინ სად იუავ, და ან რას აკეთებდიო?
დღე და ღამ გამვლელ გამომვლელს უმღერდი შევაქცევდიო,
უმღერდი შეაქცვდიო? კარგი გიქნია, მერწმუნე.
შენახვის დროს თუ იმღერდი, ახლა რომ გშიან იხტუნე.

თ. ალ. ჭავჭავაძე.

ლიამ ვეღარ გაუძლო: მან აღმოუშვა მტკივნე-ლობითი აღმოსკუნა და დაეცა იგი უგრძნობლად იატაკზე.

რა გონზე მოვიდა, მან იხილა თავი თჳსი მეორეს ოთახში; ბებრები ასხურებდნენ მას წყალსა და ასუ-ნებინებდნენ სასუნებელსა.

ლია წამოხტა ანაზდეულად, ვით დაჭრილი ლომი, და უნდოდა მას შესულა საწოლში, სადაც იყვნენ ქმარი მისი და უცნობი ქალი; გარნა ბებრებმა მოა-გონეს მას ფიცი თჳსი. ლიამ ჩამოჰკიდა თავი, ამო-იღო ჯიბიდგან ქისა ორმოც და ათის ოქროთი და მიჰსცა იგი ბოშას: ეს იყო ფასი მკითხაობისა, რომელიც ესრედ ჭეშმარიტად და საშინლად აღსრულდა.

გრაფინა ჩამოვიდა კიბიდგან, ჩასხდა ეკიპაჟში და უბრძანა მან კუჩერსა მისულა წმიდა მარიამის მონასტერში. იგი იყო ფერ მიხდილი. კეთილმა იგუმენამ მაშინვე შეამცნივა, რომ მას შემთხუევია რამ უჩუეულებრივ; მაგრამ ყოველს მის კითხუაზედ ლიამ უპასუხა, რომ მას გული შეუღონდა გზაზედ და ამისაგან არის ესრეთ ფერ წასული.

იგუმენამ მიიხმარა სრული მჭევრ-მეტყუელება თჳსი დასაჭერად ლიასი მონასტერსა შინა იქამომდე, ვიდრე იგი სრულებით მოსულ იყო ღონეზედ; გარნა ლიამ მწუხარის ღიმილით გამოუცხადა, რომელ იგი აუცილებლივ უნდა წავიდეს შინა.

მაშინ იგუმენამ მიუშვირა ჴელი ვეზუვიის წვერზედ, რომელიც დაფარული იყო ზრქელის შავის ბოლით, და უთხრა მას, რომელ უეჭუელად უნდა ელოდნენ ჩქარა ცეცხლის ამოფრქუევას და ამისთჳს უფრო კეთილ გონიერი იქმნება, დაიბაროს ქმარიცა და უწყონ ლოდინი ამ უშიშარს ალაგს, ვიდრე განვლის

საშიშროება. გარნა პასუხის ნაცვლად ლიამ ჴელის მოძრაობით დაანახვა მას ამწვანებული ფერდობი მთისა, რომელამდეც, რაც არსებობს ცეცხლის მთა, არ მიუხწევია არცა ერთსა წყაროსა ცეცხლისასა. იმ ფერდობზედ იყო აღმაღლებული სასახლე ოდოარდოსი. რა იგუმენამ ნახა, რომ განზრახულება ლიასი არის შეურყეველი, იგი გამოესალმა დ~ გაატანა დასთან ლოცვა თჳსი.

გრაფინა ჩაჯდა კალასკაში; ათის მინუტის შემდეგ იგი შინ იყო უკჳე.

ჯერ ოდოარდო არ მოსული იყო.

აქ უმოწმოდ ლიას მწუხარებამ მიახწია სასო წარკუეთილებამდე. იგი დარბოდა, ვით გიჟი, ოთახებში დ~ ბაღის ხეივნებში; ყოველი კუთხე, ყოველი ბილიკი განაღვიძებდნენ გულსა შინა მისსა მოგონებათა ამ სამის დღის წინათ ტკბილთა, ახლა კი სასიკუდინოთა. ყოველგან ხედავდა იგი ოდოარდოსა; ყოველი ნივთი აგონებდა მას სიყუარულსა მისსა. ლიამ იგრძნო, რომელ მისთჳს ყოველი გათავდა, რომელ ამის შემდეგ მას აღარ მალუძს სიცოცხლე, გარნა მოკუდეს დ~ დარჩეს ოდოარდო იმ ქალს, რომელიც არის მიზეზი სიკუდილისა თჳსისა... ეს აუტანელი იყო.

ამ უგონო სასოებამ, დაკარგულების ჟამსა, მის თავში იფეთქა საშინელმა ფიქრმა: მოჰკლას ოდოარდო დ~ თჳთონაც ზედ დააკუდეს. პირველად მან შეჰკივლა შიშისაგან; გარნა შემდეგ ცდილობდა ცოტ-ცოტად შეჰსჩუეოდა ამ საზარელს ფიქრსა, ვითარცა შემძლე მხედარი მალას ატანს გიჟს ცხენსა გარდაახტუნოს რაზედმე, რისაც მას შეშინებია,

მსწრაფელ ამ ფიქრმა, შიშის ნაცვლად, დანერგა ლიას გულში ბნელი სიხარული. მან უკჳე წარმოიდგინა,

ვითარცა იგი, ხანჯლით ჴელში, აღვიძებს ოდოარ-
დოსა და ჰსცემს მას გულში, ვითარცა თჳთონაც
იცემს იმავე ხანჯალს და კვდება მის მოხვევნაში.
და ლია უნებურად ჰკჳრობდა «ამ საშინელს მწუხა-
რებაში როგორ დანერგა ამ გვარმა ფიქრმა მის
გულში ერთი უსაზღვრო სიხარული.»

იგი შევიდა ოდოარდოს კაბინეტში. მუნ კედლებ-
ზედ ეკიდნენ საჭურავნი სხვა და სხვა დროის და
ხალხისა. ჩამოიღო მშვენიერი ოსმალური ხანჯალი
ხავერდის ქარქაშით, რომლის ტარი იყო შეჭედილი
ძვირ-ფასის ქვებით, და გასინჯა სიმახვილე მისი
თავის თითის წვერზედ: სისხლის წვეთი, წმინდა და
ბრწყინვალე ვითარცა ლალი, ჩამოეკიდა ხანჯლის
პირსა. ლიამ შეიტანა იგი თავის ოთახში და დამალა
თავ ქვეშ.

ამავე წამს მოისმა ოდოარდოს ცხენის ჭიხვინი.
რა სარკეში შეიხედა, ლიამ ნახა, სიკვდილის ფერი
ადევს მას სახეზედ; იგი ცდილობდა გაეცინა, მაგრამ
ამ თავისვე სიცილის ხმამ შეაზარა იგი, და ჰსთრთოდა
ვით დამნაშავე.

მოესმა ფეხის ხმა, ოდარდო ადიოდა კიბეზედ.
ლია მივარდა ფანჯარასა და ჩამოუშვა ფარდა, რათამცა
ოთახის სიბნელეში დაეფარა გუამისაგან აღშფოთე-
ბულის გულის მდგომარეობა, რომელიც სახეზედაც
გამოეხატებოდა.

გრაფმან გააღო კარები, და დაბრმავებულმან მწრა-
ფლის შესვლით დღის სინათლიდგან ბნელაში, ვერ
დაინახა ლია. მან უხმო მას ნელის და ნარნარის
ხმით; მღელვარების ღიმილმა განირბინა ლიას ბაგე-
ზედ; იგი წამოდგა კრესლოდგან, რაზედაც იჯდა
დაჩრდილებული ფანჯრის ფარდითა, და წარსდგა

მან რამდენიმე ნაბიჯი გრაფის მისაგებებლად.

ოდოარდო მოეხვია მას ხიმხურვალით ბედნიერის კაცისა, რომელსაცა სურს გარდაასხას ბედნიერება და მხიარულება თჳსი ყოველსა, რაცა მას გარს არტყამს. ლიას ეჩვენა, რომელ გრაფი ცდილობს მოატყუოს იგი პირმოთნეობითის ალერსით.

დაჰსდგა საღამო. რამდენჯერმე ოდოარდოს, რა შეხედამდა იგი ცოლსა თჳსსა, რომელიც ცდილობდა გაცინებასა, უნდოდა რაღაც ეთქუა მისთჳს; ჰსჩნდა აპირებდა იგი რისამე საიდუმლოს გამოცხადებასა, გარნა ყოველთჳს სიტყუა უყინდებოდა მას ბაგეზედ და საიდუმლოდ დაშთა დამარხული გულსა შინა მისსა.

საღამოს განგრძელებაში ვეზუვია უმატებდა თან და თან მუქარებასა. ოდოარდომ წინ დაუდვა ცოლსა დაუტევონ ეს სახლი და გარდახდნენ ნეაპოლში, სადაცა ჰქონდა მათ სახლი; მაგრამ ლიას ეგონა რომ გრაფსა სურს დაახლოება თჳს საყუარელთან და ამისთჳს ცდილობს ნეაპოლში გარდასვლას. ლიამ მოაგონა მას, რომელ ამათი სახლის მხარე ყოველთჳს უშიშროებაში ყოფილა ვეზუვის მოქმედებისაგან. ოდოარდომ დაუთმო მას, მაგრამ გამოუცხადა, რომელ თუ ხვალაც არ განქრებიან ნიშნები ცეცხლის აღმო-ფრქვევისა, იგინი დაუტევებენ ამ სადგომსა და გარ-ვლენ ნეაპოლში.

ლია ეთანხმა. მას კჳალად შთებოდა მთელი ღამე აღსასრულებლად შურის-მიებისა; მას მეტიც აღარა უნდოდარა.

მათ დროთა შორის ჰაერში მოხდებოდნენ საკვი-რველნი გამოცხადებანი. ღამის მწუხრიადთან განიბნივა მახრჩობელი სიცხე; ამაოდ აღებდნენ სახლის ფან-ჯრებსა, რათამცა საღამოს ნიავს განეგრილებინა

ოთახები; ნივთი სრულიად არა იძროდა; გარნა ნაცუ-ლად მისა, აჩუხჩუხებულის ჩდვის ჩუნა, შორიდგან აღიწეოდა მძიმე და ცხელი ორთქლი და იმღვრებოდა მიწაზედ ნისლის მზგავსად. ცა არა ბრწყინავდა ვარსკვლავებით; იგი ემზგავსებოდა გუმბათისა შედ-გენილსა დამდნარის კალისაგან. მოუთმენელი სიცხე აწვებოდა მთიდგან და განვრცელდებოდა ქალაქში და მის გარემოში. ყოველი ახალი აღმოსუნთქვა ამ გახურებულის ჰაერისა ჰქანცამდა ყოველსა ცხოველსა და საშინლად ასუსტებდა. რომელიც მეტად ცნობილნი არიან ნეაპოლის ცხოვრებთათჳს, აწუხებდნენ მას ლიას გამო, გარნა ლია იცინოდა მის საშიშროებაზე და გულ-გრილად უცქეროდა ამა გამოცხადებათა. როდესაც გრაფი დაქანცული მიეშვებოდა კრესლაზედ ნახევრად დახუჭვილის თვალებით, ლია მივიდოდა და დაუდგებოდა მას გვერდით დამშვიდებული და განხმეხული მწუხარებისაგან, რომელიც დაბუდებულ იყო გულსა შინა მისსა. დასასრულ, რა მიაწერა გრაფმა სისუსტე თჳსი ცხენისაგან დაღალულებასა, მხიარულის სიცილით გამოართო მან ლიას ჴელი, და დაყრდნობილი მის მხარზედ, მივიდა იგი საწო-ლამდე და ტანთ-გაუხდელი მიეგდო კრავატზედ. რამდენიმე წამი იგი იბრძოდა თვლემასთან, და დასა-სრულ მიეძინა მას, რა ეჭირა თავის ჴელში ლიას ჴელი.

ლია იდგა კრავატთან ჩუმათ, უძრავად, რა დარ-წმუნდა რომ გრაფი აღარა ჰგრძნობს შეხებასა, ლიამ ჩუმათ გამოაცალა ჴელი, გავიდა ტალანში, უბრძანა ყოველთა მსახურთა დაუყონებლივ წავიდნენ ნეაპო-ლში მოსამზადებლად მათთჳს სახვალიოდ სახლისა და შემდეგ შევიდა იგი თავის ოთახში.

მოხარულთა ამ შემთხვევით, რომ შეუძლიანთ სეირნობა ქალაქში, მოსამსახურეებმა აღარ გაამეორებინეს ბრძანება. ფანჯარაზედ გარდაყრდნობილსა გრაფინას ესმოდა ვითარცა მსახურთ გასვლის დროს დაკეტეს ბაღის კარები და თან გაიხურეს ალაყაფის კარიც. შემდეგ იგი ჩამოვიდა ძირსა, გაშინჯა მან სამყახლო, სამზარეულო, საჯინიბო და ნახა, რომ შინ აღარავინ არ იყო. სურვილი გრაფინასი აღსრულდა. — იგი დაშთა მარტო ოდოარდოსთან.

ლია შევიდა თავის ოთახში, მტკიცის ნაბიჯით მიახლოვდა საწოლსა; ამოიღო მან ბალიშის ქვეშიდგან დამალული ხანჯალი, ამოაძრო ქარქაშიდგან, ახლად გაშინჯა მისი მოკანკული პირი, გაჭრელებული ოქროს ნამეწკით; შემდეგ მოკუმულის ტუჩებით, უძრავის თვალებით, შეჭმუხნვილს შუბლით იგი მიახლოვდა ოთახსა, სადაც ეძინა ოდოარდოსა.

კარი ღია იყო და ლიასაგან დატევებული თჳს ოთახში სანთელი ანათებდა ოდოარდოს ოთახსაც. ამ სინათლით ლია მიახლოვდა კრაოტსა. ოდოარდო იწვა ადრინდელივით უძრავად, იმავე მდგომარეობაში.

რა მივიდა კრავატის თავთან, ლიამ გარდიტანა ჴელი, რათა ეპოვნა ადგილი დასარტყმელად ხანჯალისა. — მეტის სიცხისაგან, გრაფის დაწოლის დროს მოეხსნა ყელსახვევი და გაეხსნა ჟილეტკა და პერანგი. ჴელი ლიასი შეეხო მის გადაღეღილს გულსა და მოხვდა მას ჴელში ჩამოკიდებული მედალიონი, რომელიც იპყრობდა პორტრეტსა და თავს, მიცემულსა მისგან ოდოარდოსათჳს მას წასვლის წინათ სიცოლიაში. იმ დროიდგან გრაფი მარად ატარებდა ამ მედალიონს გულზედ.

რა ლია შეეხო და იცნა მან მედალიონი, მას ეჩვენა,

რომ წინაშე მისსა გარდაიწია რაღაც ფარდა, და ამ ფარდაზედ გამოიხატნენ პირველნი დღენი მათის სიყჳარულისა. საკვირველის სიმსწრაფლით ფიქრისა, რომელიც ერთს წამს განირბენს მთელთა წელიწადთა, ლიამ მოიგონა დღე, რომლესაც პირველად ნახა მან ოლდოარდო, რომლესაც პირველად უთხრა მას «მიყ-ჳარხარ» რომლესაც იგი მიდიოდა სიცილიაში დაღონებულის გამოსალმებით, რომლესაც დაბრუნდა იქიდგან ამისთჳს, რომ საუკუნოდ კუთვნილ ყოფილ იყო მისთჳს. მოგონებამ ყოველთა ამა ბედნიერთა წამთა, ანაზდად შეკრებილთა ლიას გამოხატულებაში, მოჰს-წყვიტა მას ღონე. მან გააგდო მთრთოლვარეს ხელიდგან ხანჯალი, დაეცა იგი მუხლზედ კრავატის წინ და დაუწყო მან საბანს კბილით გლეჯა, რათამცა შეემაგრებინა ტირილი, რომელიც აწვებოდა მას გულზედ, და ევედრებოდა იგი ღმერთსა, მოუკლინოს მას სიკჳდილი, რომელსაცა, მალა მოკლებულმა, ვერ შეამთხვია ვერც ორგული ქმარი და ვერც თავის თავი.

თჳთ ამ წამს, რომლესაც ლია ათავებდა ლოცჳასა, მოისმა ყრუ და განგრძელებული გრიალი; ძლიერმა მოძრაობამა შეარყია მიწა და ხისხლიერმა ელვამ გაანათა ოთახები. ლიამ აღიწია თავი. რა მიუწერა ეს გამოცხადება თავის აღშფოთებულის გამოხატულებასა, ლია ეცა ფანჯარასა; მაგრამ აქ ყოველი შეიქმნა მისთჳს ცხადი.

მთა გახეთქილ იყო მეოთხედის აღაჯის სიგრძედ. ამ საშინელის გაპობილიდგან ამოდიოდა გრიალით ალი და ძირს ჩუხჩუხებდა ცეცხლის ნიაღვარი, რომელმაც იწყო დენა მათ სასახლისაკენ, თითქოს მუქარებით შთაენთქო იგი ნახევარ საათში.

ლია, ნაცჳლად მისა, რომ ესარგებლნა დროებით,

რომელიც კჳალად შთებოდა მას თავის თავისა და ოდოარდოს გარდასარჩენლად, იდგა ფანჯარასთან უძრავად, მარმარილოს ძეგლივით ჴელები გულზედ დაკრეფილი, დუმილით ბაგეზედ და აღგზნებულის თვალებით, რომლებშიაც გამოიხატებოდა მწყურვალება სიკჳდილისა.

ცეცხლის ნიაღვარი, როგორც ვსთქვით, მოუახლოვდებოდა გრაფის სასახლესა; მაგრამ მდინარეობა მისი იყო ნელი, ესრედ, რომელ კაცთა და სხჳა ცხოველთა აქჳნდათ საკმაო დრო გადასარჩენად. მიახლოვების კჳალად ცეცხლისა, აქამომდე მძიმე და ნოტიო ჰაერი შეიქმნა მშრალი და ცხელი; უსულო საგანნი თითქოს განცოცხლდნენ; წყარონი ჩუხჩუხებდნენ და შრებოდნენ; მცენარენი მწუხარებით არხევდნენ გაუვითლებულთა შტოებს; ხეები იდრიკებოდნენ გვერდზედ, თითქოს აპირებდნენ მორიდებასა; ძაღლები ეძებდნენ გადარჩენასა ბანებზედ, ეკვრებოდნენ კედლებსა, და აავსებდნენ ჰაერს ღმუილით ყოველი სულიერი და უსულო, თითქოს ცდილობდნენ გაერიათ წინა აღმდეგობა ამ ღჳთის რისხვისათჳს, რომელიც შეუპოვრად მიდიოდა წინ. მხოლოდ ერთი ლია თაჳსის სხეულ მოძრაობით ჰსჩნდა აჩქარებდა მის მიახლოვებასა და ჩუმათ ბუტბუტებდა: «ჩქარა, ჩქარა!»

მეყვსეულად ლიას ეჩვენა, რომ ოდოარდოს ეღვიძება. იგი მიიჭრა კრავატთან; გარნა ოდოარდო, რომელსაც ამძიმებდა ეს მძიმე ჰაერი, ებრძოდა ძილში რაღასაც მძიმეს სიზმარსა, ჰსჩნდა, რომ მას უნდოდა მოეშორებინა რაღაცა მუქარე მოლანდება. ლია დასცქეროდა მას ყურადღებით, შეშინებული გამოხატულებით მწუხარებისა მის სახეზედ. ანაზდეულად დაბმული ენა ოდოარდოსი აიხსნა: მან წარ-

მოჰსთქუა მილში თერეზას სახელი. — ჰსჩნდა თერეზა ყოფილა საგნად მისის სიზმრისა; იგი ჰსთრთოდა სიზმარში თერეზასთჳს! ლიამ განიღიმა საზარლის ღიმილით და ქუალად გავიდა იგი ბალკონზედ.

მას დროჲსა შორის ცეცხლის ნიაღუარი ცოტ-ცოტად მიახლოვდებოდა; იგი უკვე მოეხვია ცეცხლის მკლავებით ბორცვსა, რაზედაც იდგა სასახლე. თუ რომ ამ დროს ლიას გაეღვიძებინა ოდოარდო, გადარჩენა მათი ქუალად შესაძლებელი იყო, ამიტომ რომელ ჯერ სრულებით არ შემოევლო ცეცხლსა ბორცვის გარე, მაგრამ ლია დაღუმებული იყო და მას ეშინოდა მხოლოდ ამისა, რომ ბუნების განმგლე ჯელ ტირილის ხმასა, უკანასკნელს აღმოფშვნის ჟამსა, არ მიეხწია გრაფის სმენადმდე და არ გამოეღვიძებინა იგი ძილისაგან.

დასასრულ ყოველი გათავდა. ლიამ ნახა, როგორც ცეცხლი განჰრცელდა განუზომელს ზღვის მსგავსად და სრულიად მოიცვა გარეშემო ბორცვისა. ლიამ შეჰკივლა უგუნურების სიხარულითა: უკანასკნელი გზა დახსნისადმი შეიკრა. ამ სასახლემ თავისი ბაღით შეადგინა კუნძული, რომელსაც გარეშემო ერტყა ალის ზღუა. მაშინ საშინელმა ნიაღუარმა იწყო დინება ბორცვის თავ დაღმართზედ. თან და თან ცეცხლის ზვირთნი იწევოდნენ ზევით და ზევით და აპატარავებდნენ კუნძულს და დამალა იგინი ცეცხლის ღელვარში. მიტანების ქუალად ნიაღვრისა, ხეები ხმებოდნენ; ალი გადარბოდა ერთის მტოჲდგან მეორეზედ და ეკიდებოდა წვერში; შემდეგ, რა გარდააქცევდა მათ ნაცრად, ჩაწვენდა ცეცხლის უფსკრულში. დასასრულ პირველნი წყარონი ცეცხლისა გამოჩნდნენ ბაღის ხეივანში. ლიამ ნახა, რომ მას მლივხდა

შთება იმდენი დროება, რომ გააღვიძოს ოდოარდო, დააყვედროს მას ორგულება ჲ აჩვენოს სიკჳდილი, რომელიც ესრეთის მრისხანებით უახლოვდებოდათ მათ.—იგი შემოიჭრა ბალკონიდგან, მივარდა გრაფის კრავატსა ჲ წაავლო მას ჴელი.

—ოდოარდო! ოდოარდო! ადექი—სიკჳდილი მოდის ჩჳენთან!

ხმა საშინელთა სიტყჳათა, წარმოთქმულთა შურის მიგების ხმითა, განუხურიტეს გრაფსა ყურები საშუალ ღრმის ძილისა. იგი წამოხტა კრავატიდგან შეთიანივით ჲ დააჭყიტა თვალები; შემდეგ, რა ნახა სინათლე ალისა, რა გაიგონა ჯახა-ჯუხი, ჲ იგრძნო რყევა სახლისა, იგი მიხვდა მაშინვე ყოველსა ჲ ქჳალად დაეცა კრავატზედ.

—ცეცხლის მთა გადმოწოლილა, ცეცხლისა! შეჰყვირა გრაფმა: ოჰ, ლიავ! წეღან არ გითხარ მე შენ? ჲ ერთს წამს აიჭრა იგი ფანჯარასთან; მან გარდაავლო თჳალი აღგზნებულს ბაღსა ჲ წავარდა პირთაგან მწარე აღმოხვრა; შემდეგ იგი გავარდა მეორეს ოთახში, გააღო მან ფანჯარა ნეაპოლისაკენ, ჲ რა ნახა, რომ ხსნა შესაძლო აღარ იყო, დაბრუნდა იგი ლიასაკენ სასოება მიხდილი ჲ მუხლების კანკალით.

—ოჰ, ლიავ, ლიავ, ლიავ! ჩემო სიყჳარულო, ჩემო სულო, ჩემო სიცოცხლევ! ვიღუპებით უბრალოდ, უდროოდ!

—მე ვიცოდი ეგა, უპასუხა ლიამ.

—როგორ თუ იცოდი?

—ისე, რომ მე არ დამძინებია ჲ ერთი საათი მეტი უყურებდი ცეცხლის მოახლოებას.

—მაშ რატომ მეც არ გამაღვიძე?

— შენ გეზმანებოდა თერეზა და მეც ამიტომ აღარ გამოგიყვანე ტკბილის სიზმარიდგან.

— ჰო, მართალია, მე ვნახე სიზმარში, რომ მითომ ძალად უნდოდათ მოტაცება ჩემის დისა; მითომ მე მოტყუებული ვიყავი, მითომ იგი მართლად მომკუ-დარი იყო; მითომ უსულოდ იწვა პატარას ოთახში წმიდა იაკობის ქუჩაში; მითომ უკვე მოიტანეს კუბო და უნდოდათ დაელურსმათ... ჰო, საშინელს სიზმარში ვიყავი; მაგრამ გამოღვიძება უფრო უარესია!...

— რას ამბობ? შეჰყვირა გრაფინამ, რა წაავლო ოდოარდოს ჴელში დაუწყო თვალებში ცქერა; განა თერეზა შენი და არის?

— ჰო, ჩემი და არის.

— ის ქალი, რომელიცა ჰსდგას წმიდა იაკობის ქუჩაში, მესამე ატაჟაში—მეთერთმეტე ნუმერში, ჰსწორედ შენი და არის?

— ჰო, მეთქი!

— ჰსტყუი, შენი და რამდენი ხანია რაც მოკუდა!

— ჩემი და ცოცხალია, ლიავ, მაგრამ ჩუენკი ეხლავ დავიხოცებით! ჩემი და გააქცია ერთმა ფრანცუზის პოლკოვნიკმა, რომელიც მოკლეს შემდეგ ჯარში... მე თჳთონ მეგონა, რომ თერეზა მკუდარია; ისე მითხრა მამიდა ჩემმა, მაგრამ ამ სამის დღის წინათ მე მივიღე თერეზას წიგნი, ხოლო გუშინკი მე თჳთონ ვნახე იგი ჩემის თუალით; ჰსწორედ ჩემი საყუარელი, მშვენიერი და იყო, მაგრამ გაუპატივცე-ბული, გაღარიბებული... ამიტომ სურდა მას, რომ იმისი სიცოცხლე არავის ჰსცოდნოდა დროებამდინ, ვიდრე თავს შეაფარებდა რომლისამე მონასტრის კედლებს... მაგრამ რაღა დროს იმაზედ ლაპარაკია... ჰგრძნობ, როგორ ირყევა შენობა? გესმის, როგორ

ჰსქდება კედლები?... ოჰ, ღმერთო, ღმერთო! გვიხსენ ამ განსაცდელისაგან!

—ოჰ! მომიტევე, მომიტევე! წამოჰსთქჳა აღმოსკვნით ლიამ, რა დაეცა მუხლზედ: მომიტევე, ოდოარდო, ვიდრე დავიხოცებით!

—რა მოგიტევო? რაგიქმნია? ჰკითხა განკვირებით გრაფმა.

—ოდოარდო! ოდოარდო! მე ვარ შენი მკვლელი! მე ვნახე ყოველი. მე ის ქალი შევკრაცხე ჩემს რაყიფად, შენს მიჯნურად! ჩემთჳს ყოველი იკარგებოდა ამ ქუეყანაში და განვიზრახე—მომკვდარ ვიყავ შენთან... მაგრამ, ოჰ, ღმერთო ჩემო! ნუ თუ აღარა ვითარი ღონის-ძიება აღარა გვაქუს დახსნისა?—ან იქმნება გავიდეთ როგორმე, წავიდეთ, ოდოარდო, წავიდეთ! მე საკმაოდ ძალა მაქუს, არახი მეშინიან; წავიდეთ!... და მან წაავლო თავის ქმარს ჴელი, და ორთავე იწყეს რბენა ოთახში, ვითარცა გიჟთა; ეცემოდნენ იგინი ხან ერთს კარებსა და ხან მეორესა, მაგრამ ყოველგან ჰხედამდნენ უღმობელს ცეცხლსა, რომელიც ჭექა-მტკრევით მიიწეოდა ზევითკენ და არყევდა შენობის კედლებსა.

ლიას ფეხები მოეკვეთა და იგი დაეცა მუხლზედ. ოდოარდომ აიყვანა იგი ჴელში და ეცემოდა ხან ერთს ფანჯარას ხან მეორესა. ამაოდ ჰყვიროდა იგი და თხოულობდა შველასა. არა ვითარი შეწევნა არ შეიძლებოდა. შემდეგ იგი გაიჭრა სარბენზედ, რომელიც სიმრგვლით ერტყა სახლსა; მაგრამ აქ ნახა მან, რომ ყოველი უკვე გათავებულა; იგი დაეცა მუხლზედ და შევიდა შინ გრძნობა მიხდილი ლია თავის თავზედ, თითქოს ელოდა, რომ ციურთ ანგელოზთ ჩამოერთმევინათ ჴელიდგან ეს მშუენიერი,

ქჳეყანად მოსაჩვენებელი ქალი.

— ღმერთო, ყოვლისა მპყრობელო! შეჰყვირა მან: შეგვიწყალე და მიგვიღე ჩჳენ წიაღსა შინა!...

რა გრაფმა წარმოჰსთქჳა ეს სიტყუანი, მაშინვე ჭერი წამოვიდა ჭახა-ჭუხით და შთანთქა უფსკრულსა შინა ჯოჯოხეთისასა. იმავე წამს შეირყა სარზენიცა — და იგიც ამ უმაწვილს კაცით და ქალით ჩაიმალა ცეცხლის ზღჳაში. დასასრულ კედლებმაც მოიღეს გრიალი და დაეხურნენ იგინი, ვითარცა კუბოს ხუფი. — ცეცხლმა აღიწია კჳალად უმაღლეს, გარდაედინა იგი დანაქცევთა და — ყოველი შთანთქჳა.

გრიგოლ რჩეულოვი.

## მკითხველთადმი.

ვის არა ჰსურს გამოხატოს თჳსი აზრი და გრძნობა სასიამოვნოდ, ცხადად და ენა-მჭევრობით? ვინ არა გრძნობს და არ იცის, რომ ყოველსა ამას მოგვცემს ჩუენ ც ი ს კ ა რ ი, — ქართული სალიტერატურო ჟურნალი? რასაკვირველია სრულებით ესენი ამ პირველს შემთხვევაში არ შეგვიძლიან მას მოვსთხოვოთ, შემდეგ ესრეთისა დავიწყებისა ჩუენის ენისა ჩუენგან. მამულისა სიყუარული, ესე ბუნებითი ნიჭი ყოველ კაც-შორის და ზემო ხსენებულნი წინადადებანი, ვალ-დებულ გვყოფენ ჩუენ ყოველთა მივიღოთ გულადი მონაწილეობა ამ სასარგებლო შრომაში და ვეცადნეთ განგრძობისათჳს ამ ჟურნალისა, და არ ვუგდოთ ყური რომელთამე კრიტიკოსთა, ამაოდ კალმით აღჭურვილთა, განსახილველად ჩუენისა ახალ დადგენილ ჟურნალისა, რომელიც, ვიტყვი, არ უნდა იყოს ჯერეთ საგნად კრიტიკისა და უმეტესად კრიტიკისა არა მართლისა. ვსთქვათ რამდენიმე აზრი ქართულ ლიტერატურაზედ და სტატიაზედ უ. ბერმენოვისა, რომელმან განიხილა პირველი წიგნი, ქართული სალიტერატურო ჟურნალისა «ც ი ს კ ა რ ი» მეოთხე ნუმერში გაზეთისა «Кавказъ.» აჰ საგანი ამა სტატიისა.

ყოველმა საქართველოს ისტორიის მკითხველმა იცის, რომ ლიტერატურა საქართველოში თუმცა იყო, მაგრამ ხშირად იქნებოდა მსხუერპლად შემთხვევისა სხუა და სხუა მიზეზისა, ესე იგი: გარეულ და შინაურ აღრეულებისა ჩუენთა წინაპართა, ამის მიზეზისა გამო არა ჰქონდათ დრო ჰსწავლისათჳს. უპირველესი საჭიროება იყო მათთჳს რომელ დაეცუათ სამეფო

და საკუთარი თჳსი ცხოვრება მტერთაგან ანუ ვსთქუათ სწორედ, უმეტესად სარწმუნოება თჳსი. ამ შემთხვევაში საქართველო იყო სამაგალითო, თითქმის ყუელა ხალხთა შორის და საქებრად ისტორიკოსთა. ესრეთ: პროკოპი ისტორიის მწერალი, მცხოვრები მეოთხე საუკუნოში, მოგვითხრობს, რომელ ქრისტიანეთა შორის, ივერნი უმეტესად ყოველთა დაიცჳავდნენ მართლ-მადიდებლობასა თჳსსა, თუმცა მრავალჯერ იყუნენ მფლობელობასა ქუეშე სპარსთა მეფეთა. მაშასადამე საქართველოს შჳლთა ჰსწავლისათჳს არ ეცალათ, თუმცა ჰქონდათ და აქუსთ ნიჭი ჰსწავლის, რომელიცა ჰსჩანს მით, რომ როდესაც მათ ჰქონიათ დრო ანუ შემთხვევა სწავლისა არა უარ-უყვიათ მისთჳს, არამედ ყოვლის მეცადინობით ცდილან, დასამტკიცებელად ამის, ისტორია საქართველოჲსა გვიჩუენებს საკვირველსა მოქმედებასა ლიტერატურისასა, ოდეს საქართველო ყოფილა მოსვენებული ზემოხსენებულ მიზეზთაგან, რომელიც მართლად დაამხობდნენ მწერლობასა საქართველოჲსასა და თჳთ საქართველოჲცა შეიქმნებოდა, როგორათაც ჰსწერს პირველი მოღუაწე საქართველოს ისტორიისა ბროსეტ: «დაზრუელი ხორშაკით მტერთა წყენისასა» დრო ლიტერატურისა ქართველთა იყო დროსა მეფობისა დავით აღმაშენებლისა, თამარისა და სხუათა. მეფე დავითმა ჰსწავლისათჳს და განათლებისათჳს სახელმწიფოჲსა, როგორათაც გვიწერს ჩუენ ისტორიკოსი, გაგზავნა ათინის აკადემიაში სასწავლებელად რამდენნიმე ყმაწვილები, რომელთაცა განამართლეს იმედი მეფისა და საქართველოსი, ასრე, რომ რომელნიმე მათგანნი შეიქნენ სამაგალითოდ, არა თუ საქართველოში, არამედ თჳთ ევროპიაშიც. დრო მეფობისა

დავითისა, თამარისა და სხუათა ბრწყინვენ საქართველოს ისტორიაში, უმეტესად თამარ მეფასი, დროსა რომელისასა ჰსცხოვრებდნენ უპირველესნი ჩუენნი პოეტნი: რუსთაველი, ჩახრუხაძე, აბდულმესია, სარგისმოგველი, პეტრიძე—ფილოსოფოსი, რომელნი იყვნენ ნაყოფად ზემოხსენებულ გაგზავნისა ათინის აკადემიაში. პოემანი ღირსნი განსაკუთრებით ყურადღებისა, იმ დროს დაწერილნი არიან: თ ა მ ა რ ი ა ნ ი—ჩახრუხაძისაგან და ვ ე ფ ხ ვ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ ი—რუსთაველისაგან, რომელიც ქართულს ენაზედ, როგორც ამბობს უ. ბროსეტ, უებრო და უამხანაგო, და თუთ ევროპიაშიაც მისი უმჯობესი მრავალი არ იპოება, ორნივე ესე შეიძლება შევრაცხოთ მეფად სხუათა პოემათა შორის. მაგალითებრ: რ ო ს ტ ო მ ი ა ნ ი ს ა, ბ ე ჟ ა ნ ი ა ნ ი ს ა და სხუათა. არც ერთი მათგანი არ შეიძლება სრულებით გადაითარგმნოს სხუას ენაზედ, რომ არ დაკარგოს თჳსი საკუთარი ღირსებანი. მშვიდობა და ბედნიერება ესრეთი, საქართველოში იყვნენ ყოველთჳს მოკლედ, მტერნი მისნი ჩვეულებისამებრ ახლად იწყებდნენ, შემდეგ რამდენიმე ხნის მოსვენებისა, ბრძოლასა და აოხრებასა მისსა, და გაუქმებასა საქართველოჲსასა ყოველთჳს განიზრახვიდნენ, მაგრამ ყოვლად შემძლებელმა მარჯვენემან არ განუტევა იგი უნუგეშოდ, მან უჩვენა იგი. რუსეთის იმპერატორმა მიიღო იგი თჳსსა მფლობელობასა და მზრუნველობასა ქუეშე, რომელმან განთესა ჰსწავლა და ჰსწავლის წიგნნი, და განფინა ნათელი მეცნიერებისა. სხუათა შრომათა შორის საქართველოს წარმატებისა ჩუენისა, იმპერატორისაგან არის ნების დართუა ამ წლიდგან, რომელიც გამოდის ყოველ თვეში თუთო წიგნი, შრომითა

ოდენ, თითქმის, მარტო რედაკტორისა.

ეს ახლად დადგენილი ჟურნალი შეიქმნა საგნად კრიტიკისა გაზეთში «Кавказъ.» წინათ, სანამ ვიტყვით აზრსა უ. ბერძეოვისასა, რომელისაგან არის დაწერილი კრიტიკა, არ იქნება უადგილო, ვსთქუათ რაჲ არს კრიტიკა?

კრიტიკა არის ბერძნული სიტყუა, რომელიც ნიშნავს ჰ ს ჯ ა ს ა, გ ა ნ ს ჯ ა ს ა. ამისთჳს კრიტიკა რიტორულის აზრით არის უკანასკნელი მოღვაწება ჰსწავლისა, რომლითაცა ყოველი წესი — გამოცდილებისა, გონებისა და გემოვნებისა, დაიდების ყოველ-გვარს თხზულებასა ზედა. კრიტიკასა მრავალნი მიიღებენ არა ჰსჯად, განსჯად, არამედ საკიცხავად ანუ დასაძრახავად თხზულებისა — ცნობა ტყუილი და არცა ღირსი კრიტიკისა, ვინაჲთგან საგანი მისი არის გამდიდრება წესებითა ჰსწავლისა და ხელოვნებისა, ესე იგი: წინა-დაცუა მათი ბოროტ-მოქმედებიდამ და ქება ტალანტისა, ხშირად მშიშარისა. ხარაკტერი მისი უნდა იყოს პირუთნებლობა და კეთილი სურვილი. უპირველესი წესი კრიტიკისა არის, როგორც ჰსწერს კარამზინი «უმეტესად გაქოთ ღირსი ქებისა, ვირემც გაძაგოთ, რომლისა ძაგება შეიძლება.» ამ კანონებზედ გადადის უ. ბერძენოვი, რომელმაც ვითომც წარმატებისათჳს ჟურნალისა წარმოსთქუა რამდენიმე აზრი თჳს თხზულებაში. აჲ მისი აზრი რაში მდგომარეობს.

უ. ბერძენოვი თჳს სტატიაში შემდეგ წინა-სიტყუაობისა სხუა და სხუა საგანზედ, იგი გადადის ცისკარზედ, სადაცა იწყებს მისსა განხილვასა. ლექსთ-თხზულებასა სხუა და სხუა პირთა თუ არ აქებს არ აძაგებს, მაგრამ როდესაც გადადის პროზის ნაწილში

სადაცა იყო დაბეჭდილი მოთხრობა მარმონტელისა «მეუდაბნოენი» თარგმნილი უ. ალექსიევ-მესხიევისა-გან, იგი არ არის მით კმაყოფილი, მიზეზი ამისი, რო-გორათაც ჰსწერს იგი, არის ვითომც მარმონტელი-თჳს თხზულებაში ხშირად წინააღმდეგი ზნეობითისა ჰსწავლისა, რომლისათჳს თჳთ მემამულენი მისნი აძაგებენ მას მისთჳს, და ამის მიზეზისა გამო იგი არარის შერიცხული წარჩინებულ მწერალთა შორის და ამიტომ იმისი ცნობა ქართველთათჳს არის ვითომ უადგილო. უ. ბერძენოვი შემდეგ ამისა ახსენებს მისსა ძველსა დროებასა, რადგანაც იგი ჰსცხოვ-რებდა დროსა ლუდოვიკი მეთხუთმეტისა. არა რო-მელიმე მწერალი არ დაიწუნება ძველის დროებითა. მაგალითად შეგვიძლია გაჩვენოთ სხვათა შორის, ჩუჱნი უპირველესი მწერალი რუსთაველი, რომე-ლიც იყო, არის და იქმნება ხსენებულ ყოველთჳს. ერთი ლექსი არარის დამტკიცება — მარმონტელი არარის ღირსი ცნობისა. რატომ? წინააღმდეგო-ბისა ზნეობითის ჰსწავლისა, თუ ძველის დროებისა გამო მისისა? პირველი ითხოვს დიდსა დამტკიცებასა უ. ბერძენოვისაგან, რომელიც სრულებით არ იყო მის სტატიაში, ხოლო მეორე არის შეცდომილება, რომელსაც ვგონებ, ჰგრძნობს თჳთონვე. ვკითხოთ თჳთ ბერძენოვს, მარმონტელი რომელ მწერლებთა შორის შეირიცხება, თუ პირველებში არ შერაცხავს არც შეიძლება შერაცხოს უკანასკნელებში, და თუ საშვალო მწერალია, ამიტომ რათ უნდა იყოს იგი დაიწუნებული, უმეტესად რადგანაც მარმონტელი თავის დროზედ იყო პირველი და პატივცემული. ცნობა მისი, ამბობს უ. ბერძენოვი, არის უალაგო. ჩუჱნ ვიტყვით რომ მისი კრიტიკა უფრო უალაგოა.

ამიტომ რომ, ჩუენი ჟურნალი არის მსგავსად ჩვილის უმაწვილისა, რომელიც სცდილობს ფეხის ადგომასა, და რომელისაც პირველის ფეხის გადადგმა არ დაიწუნება. ჟურნალის სტატიები მსგავსად ამისა არ უნდა იყვნენ დაწუნებულნი და უმეტეს უმიზეზოდ.

დიდის სიხარულით მივიღებთ დარიგებასა წარმატებისათვის ჟურნალისა და უმორჩილესად ვსთხოვთ მათ, მაგრამ დარიგებაცა უ. ბერძენოვისა არის უსაფუძლო და სრულიად წინა-აღმდეგი ჩუენის აწ მყოფ მდგომარეობისა. ცნობა ყოვლის საგანისა ეხლა არის განსხვავებული, წინაპართა ჩვენის ცნობისაგან. დრომ კერპთ მსახურებისამ განვლო; ზღაპარნი მისნი გაუქმდნენ; გონება ჩუენი ეძებს მიზეზსა ყოვლისა საგანისასა, უმიზეზოდ არა რა მიიღება; ყოვლად წინა-აღმდეგი კაცობრივისა ბუნებისა კაცში არ დაიჯერება; იყო დრო როდესაც ზღაპრებს მიიღებდნენ ნამდვილ ყოფილად, კითხულობდნენ მათ დიდის ყურადღებითა და ჰსწამდათ კიდეც იგინი. მოგონება იმ მდგომარეობისა არის ჩუენთვის საგანად მხოლოდ სიცილისა, შემდეგ ამისთანა გამოცვლილისა ჩუენის ხალხისა, როგორღა მოვიგონოთ და დავბეჭდოთ ჟურნალში ყარამანიანი, ვისრამიანი და სხუანი ზღაპრები, რომელთაცა უ. ბერძენოვი გვირჩევს, რადგანაც თითქმც მათ უფრო მრავალნი წაიკითხუენო, ვიდრე ამბავსა რომლისამე ფრანცუზისაო. მადლობელნი ვართ დარიგებისათვის! ამ შემთხვევაში შეგვიძლიან ვსთქუათ ეს დელემმა: წაიკითხვენ თუ არ წაიკითხვენ, არ უნდა იყვნენ დაბეჭდილნი ზემოხსენებულნი წიგნები. თუ წაიკითხვენ მაინც არ უნდა იყვნენ დაბეჭდილი, რადგანაც არიან სამსენი

სიცრუითა, და თუ არ წაიკითხვენ უმეტესად არ უნდა დაიბეჭდნენ, რადგან არ წაიკითხვენ. ჰხსენებულთ წიგნებთ, იგი მიიღებს საკუთარს თხუზულებად ქართველთაგან. საკუთარ თხზულებათა! არა იგინი არიან სპარსულის ენითგან გადმოთარგმნილნი.

პირველმა შემწემა ჟურნალისმა, ცოდნემან ქართულის ენისა და მთხუზველმა ზემო ხსენებულისა ამბისა მართონტელისა უ. ალექსიევ-მესხიევმა, რომელსაც უმეტეს ყოველთა შეეხებოდა უკანონო შენიშვნა უ. ბერძენოვისა არ გაუშუა იგი უპასუხოდ. გაზეთში «**Кавказъ.**» იყო დაბეჭდილი პასუხი მისი «**Анти критика**» რომელშიაც ცხადად დაუმტკიცა ყოველი შეცთომილება და სთხოვს უ. ბერძენოვს მიიღოს შრომა ქართულ ლიტერატურაში. დასასრულ ამ სტატიისა, უუმორჩილესად გსთხოვთ ჩუენცა, როგორათაც უ. ბერძენოვს, ეგრეთვე სხუათაცა, რომ მიიღონ შრომა ქართულის ჟურნალისათჳს მზგავსად უ. ალექსიევ-მესხიევისა, რომელსაცა არ შეგვიძლია, ესრეთი შრომისათჳს არ განუცხადოთ მადლობა და მასთანვე უმორჩილესი თხოვნა, რომ განაგრძოს თჳსი შრომა.

ა. სავანელი.

## ფრანცუზის მწერალი პრევო და თყული კაცი.

პრევო, ფრანცუზის მწერალი, თავის დროზე დიდი პატივცემული იყო ფრანციაში, თავისის კარგის თხუზულებისა გამო. ის ჰსცხოვრებდა მე-შვიდმეტეს საუკუნეში. რა შეასრულა კურსი პრევომ სასწავლებელში, შევიდა სამოქალაქოს სამსახურში, შემდგომს თავი დაანება ამ სამსახურსა და შედგა ბერათ იეზუიტების მონასტერში; რამდენსამე წლის შემდგომ იქიდანაც გამოვიდა და განწესდა სამხედრო სამსახურში; დასასრულს ოცდა ოთხის წლისა, კიდევ შედგა ბერათ წმინდის მორეს მონასტერში, საიდგანაც სთხოვა პაპასა სხჳა მონასტერში გადასვლა და მანამ ნების დართვა მოუვიდოდა ამ საქმეზე, შეუდგა გზასა და გასწია ახალს მონასტერში იმ ფიქრით, რომ მაინც ხომ პაპა ნებას მომცემსო და ბარემც წავალო, მაგრამ პაპამ ნება არ მისცა, მაშასადამე პრევოს წასვლა გაპარვა ეგონათ. შეიქნა მიწერ-მოწერა: იპოვნეთ და წარმოგზავნეთ სადაც იყოსო. რა პერვომ ეს შეიტყო, მართლად რომ გაიქცა და დაიმალა გოლანდიაში, რომელიცა იმ დღიდგან ჰსცხოვრებდა მოუსვენებლად ხან ანგლიაში, და ხან გოლანდიაში, და ჰსწერდა სიკჳდილამდე სხჳა და სხჳათა თხუზულებათა, რომელთაშორის სიკჳდილის დროს ჰპოვეს იმ გვარი თხზულება, რომ ოთხმოცი წელიწადი კიდევ ეცოცხლა, ვერ შეასრულებდა. ის ჰსცხოვრებდა სხჳა სახელმწიფოში ექვსი, თუ შვიდი ასე, წელიწადი. ბოლოს ერთმა ფრანციის კარდინალმა სთხოვა პაპასა, რომ მიეტევა პრევოსათჳს დანაშაული და გადმოეყვანინა თავს კარის ეკკლესიაში მღჳდლად. რა გარდმოვიდა ფრანციაში, იძახდა პერვო: ამაზე მეტი აღარა მინდა-

რაო, მხოლოდ ერთი ბაღი მქონდეს, ზროხა და ორიც ქათამი მყვანდესო. იყიდა ბაღი ერთს კუნჭულში, რომელსა ახლო იყო ტყე, მოაშენა ქათმები, თუ ზროხები და მოხუცების ჟამს, როდესაც იყო წლისა სამოცისა, პარიჟიდამ წამოვიდოდა ხოლმე ტყე და ტყე ფეხით თავისის ბაღის სანახავად.

ნოემბრის თვეში 1853 წელსა, როდესაც ჩვეულებისამებრ, მიდიოდა ტყეში თავის ბაღისაკენ, მიეცა ამ სიარულში დიდსა ფიქრსა. შუადღის მზე, ცოტად ფერნაკლული, ათბობდა ტყესა, მაგრამ ასწლოვანნი ხეები კიდევ იქონებდნენ ფოთლებსა, თუმცა ზოგნი კიდეც გამხმარნი ეყარნენ მიწაზედ. რამდენნი სხუა და სხუა გვარნი პირუტყვნი, ირმები, ჯიხვები და სხუანი დახტოდენ საამურად ტყეში. ამის გულისათჳს უფრო წყნარა და ყურადღებით მიდიოდა პრევკო. ამ დროს უცებ შეეფეთა გზაში კაცი ოცდა რვისა თუ ოცდა ოთხისა წლისა, გაყვითლებული, აწეწილის წვერისა, ლაჟში გასვრილი ტანისამოსისა და გრძელის კრმლის მქონებელი:

— თქუენ უთუოთ გზა დაგიკარგავთ? ჰკითხა პრევკომ.

— არა ოდეს არა, უპატივცემულესო მღჳდელო, მიუგო უცნობმა კაცმა და თან გზას უკრავდა: მე ძალიან კარგათ ვიცი სადაცა ვართ და რომელს გზაზედაც ვსდგევართ.

— ეგ მართალი გახლავთ, მარამ... დიდის მოწიწებით უთხრა პრევკომ რა დაინახა კაბის ქუეშ ორორი დამბაჩა.

— დავიჯერო რომ ვერ მიხვდით, თქუენგნით რასაც მოველი? ჰკითხა უცნობმა კაცმა.

პრევკომ საათზედ ჴელი მაგრად დაიდვა.

— მე ვგონებ, გნებავდეთ ჩემი ქისა, რომ გამო-

მართოთ და ჯიბეში ჩაიდუათ.

—არა, უპატივცემულესო მღუდელო, მე მინდა მოგართუათ ერთი შუშა უსაკვირველესი წყალი, რომლის მზგავსი მრთელს კმელეთზედ არ არის და რომელიცა არჩენს ყოველსა სნეულებასა, რა გვარიც უნდა იყოს.

რა ესე ჰსთქუა, უცნობმა კაცმა ამოიღო ჯიბიდამ შუშით წყალი, რომელიცა ჰსჩანდა რომ უბრალო წყალი იყო და სთქუა.

—ხომ ხედავთ, როგორიც საუნჯე არის ეს წყალი და რასაკჳრველია მეც სარწმუნო ვარ, რომ გაჩუქოთ ეს მინით წყალი, ამის ნაცვლათ მომცემთ, მაგ საათს, ქისით ფულსა და ყოველსავე რაც ზედ გაბადიათ.

რა ჰრევკომ ეს სიტყუები გაიგონა, მაშინვე მიხვდა ის კაცი ვინც კაცი იყო და რა მოხელეცა. რასაკვირუელია აქ წარმკითხველი მიხვდება, რომ ეს კაცი რომელიცა შეეყეთა გზაში ჰრევკოს, იყო ქურდი ანუ მოკლეთ ესთქუათ თული, რომელიცა ხმარობდა ამ გვარ ოსტატობას: წყალს აძლევდა გამვლელთა და ნაცვლად იმისსა ფულსა ართმევდა. ეს ქელობა ესწავლა ანგლიაში, სადაცა ხშირია ამ გვარი ჩვეულება, და რადგანაც ჰსჯული სასტიკად ჰსჯის ავაზაკთა, ამისათჳს თულები ცრცვიან მგზავრთა, მხოლოდ ჰყიდიან ამ გვარსა უძვირფასესსა წამალსა ან სხუა რასმეს იმათზე. რა შემოხვდებოდათ ვინმე, დაუწყებდნენ ამ გვარსა ლაპარაკსა:

«არ ინებებთ კარგ ჯოხსა, გასაყიდია ბატონო მგზავრო, ჩინებული ჯოხია, იაფათ მოგყიდით, მხოლოდ მაგ თქუენი ბრილიანტის ბეჭდები მომეცით ან თუ არა და გამიცვალეთ. თუ რომ მთავრობა

დაიჭერდა დასასჯავად, თუღლი იცოდა, ვაჭარი ვარ და საქონელსა ვყიდი. ფრევომ რასაკვირველი რომ შეიტყო ვისთანაც ჰქონდა ბედნიერება ლაპარაკისა, უთხრა:

— საყვარელო ძმაო და მეგობარო ჩემო! როგორც ვხედავ, ცუდის და საშიშარის ჴელობის მქონებელი ყოფილხარ.

— იქნება რომ საშიშარი ჴელობა იყოს, მაგრამ უპატივცემულესო მღჳდელო, მაგაზე კი თანახმა არა ვარ, რომ იმახი ცუდი ჴელობა არისო... ჭკვიანი მეგონე და სულელი ყოფილხართ, ამისთჳს რომ რამდენიმე ვერცხლის ფულში, საათში, რომელიცა ზოგჯერ წინ მირბის და ზოგჯერ უკანა და ძველმულ ტანისამოსში რომელიცა დიდი ხანია რაც მოდიდამ გარდაგდებულია, მე შენ გაძლევ დიდი-ხნის სიცოცხლესა, მრთელსა და წრფელსა, თქჳენ კი იმახით ცუდი ჩვეულება არისო! როგორ ბედავთ მაგ სიტყვის თქმასა! მე მგონია არა ღირდეს იმ ფასად თქჳენგნით მოცემული, რასაც ჩემგნით მიიღებთ. თქთჳენ ასე გგონიათ ამ გჳარს საქმესა ყოველთჳს შემთხვევით... დრო აღარ არის ამდენის ლაპარაკისა მღჳდელო, ჩქარა გარდავსწყვიტოთ საქმე, თორემ არა მცალიან.

— ქისას არ დაგიზოგავ, რადგანაც არც თუ მაგთენი ფულია შიგა, მაგრამ საათს..... ეს იმისთანა... იმისთანა კაცის ნაჩუქებია, რომ ძნელია ამის დაკარგვა

ფრევომ ამოიღო უბიდგან საათი და დახედა, თითქო საყვარელს მეგობარს ესალმებაო. ეს უნდა ვსთქჳათ, რომ საათი იყო მცირეფასი, ოქროსი, ბრილიანტებით მოჭედილი და ამ დროს შუქი მზისა აბრჭყვიალებდა, რომელიცა საამოდ იხილვებოდა.

—არა, უთხრა პრევკომ, თქუენ, იმედი მაქვს რომ არ იწყენებთ ამ საათის წართმევას, რომელიცა მაქუს სახსოვრად ერთის უპირველესის შემთხვევისა... შემდგომ მივიდა თულის ახლო, გამოართო მოწიწებით ორივ ჴელი და განაგრძელა. ჩემს ცხოვრებაში ბევრი უბედურება შემმთხვევია და ბედნიერებაცა, ბედნიერებაში, გინა უბედურებაში ნუგეშსა მცემდნენ და მასიამოვნებდნენ: საათი, მინუტი და წამი, რომელთაცა მაჩვენებდა საყვარელი ესე ჩემი საათი.

თულმა გამოართვა საათი, გადააბრუნ-გადმოაბრუნა, თითქო ბრილიანტებსა ჰსთვლისო, და შემდგომს თუმცა როგორცა ჰსჩნდა დაბრუნება არ უნდოდა, მისცა პრევკოს.

—ღმერთმან გადღეგრძელოს, საყვარელო მეგობარო! დაიყვირა პრევკომ. მერწმუნეთ რომ ღმერთი არ დაგაგდებთ უნუგეშოდ, მაგ-გვარ მოხუცებულის მღჳდელის პატივის-ცემისათჳს. რადგანცა აგრე გრძნობის მქონებელი კაცი ყოფილხართ,—ეს საათი ღირს ოცდა ათ თუმნათ, ხვალ ამ დროს ამ ალაგს მოდით და თვითონ მე მოგიტანთ ამის ფასს... ნუ რაფრისა ნუ შეგეშინდებათ, მე მაგ თჳსების მქონებელი არა ვარ, რომ....

—აბა ერთი, მაშ შემომხედეთ, შეიძლება გერწმუნო თუ არა, პატივის ცემით მიუგო თულმა: იქნება თქუენს საათში, მაგდენი ფული არის მიცემული, მაგრამ მაგ ფასად არა ღირს, კაჭრები ძალიან ატყუებენ მყიდველთ... ჩემთჳს ოცი თუმანიც საკმაო.

—რასაკვირველია კეთილშობილი კაცი ყოფილხარ, უთხრა პრევკომ და თან უბეში იდებდა საათსა: ჰსჩანს რომ არა ხართ დაბადებული მაგ გვარ კეთილობისათჳს, რომელსაცა ახლა შესდგომიხარ; შესაძლებელი არ

არის, რომ ამაში ერთი რამ საიდუმლო საქმე არა იყოს რა, ამისთჳს რომ ეს წყალი...

— გარწმუნებთ თქუენ როგორც პატიოსანი კაცი, რომ დიდი მარგებელია.

— სიდამბლისათჳს? ჰსთქუა პრევომ.

მეშვიდმეტე გინა მეთვრამეტე საუკუნეში, სიდამბლე ხშირად იყო, რომლისათჳსაც პირველმა იმ თემის ჰაქიმმა ლემონტემ დაამტკიცა, რომ მიზეზი სიდამბლისა იყო პარიკი, რადგანაც ხშირად ატარებდენ და საშინელი დიდიც იყო, აქედან ცხადათ ჰსჩანს, რომ თავი რა იმისთანას დიდს სხუათა თმაში იყო გახვეული, მხურვალება წარმოსდგებოდა, და მიიზიდავდა სისხლსა, და რა შეუშრებოდა სისხლი კაცსა, სიდამბლეც მოუვიდოდა. პრევოც ატარებდა პარიკსა, ამისთჳს ეჭვში შევიდა: იქნება მართლა მარგებელი წყალი იყოს და ეს კაცი, რომელიც შეეჟუეთა მოულოდებლად უფრო შეიტკბო.

— თქუენ უთუოდ უბედური ყოფილხართ? ჰკითხა პრევომ.

— ბატონო პრევო, უპასუხა თულმა, მაგრამ შეინახეთ ეგ საათი უბეში და ყური დამიგდეთ.

— განა მიცნობ კიდეც?

— მალიან კარგათ გიცნობ. მე გიამბობ ერთსა ანბავსა, რომელიცა რადგანაც მწერალი ხართ, გამოგადგებათ საარშიყოთა ანბავთა თხზულებისათჳს.

— საყუარელო მეგობარო, დაუწყო ლაპარაკი პრევომ, თითქო ორმოცის წლის მცნობიაო, მე აღარაფერს აღარას ვსთხზავ საარშიყოთა ანბავთა, თუმცა უმაწვილ კაცობის დროსა ვწერდი, მაგრამ ახლა ჩემს მოხუცებულებას არ შეჰფერის.

— სულ ერთია, საარშიყო არ იყოს, ისე ანბავი

მაინც დაწერეთ, თქვენ შეგიძლიანთ უფრო გრძნობით წარმოჰსთქვათ, ჩემს თავს გარდასავალი.

—იმისთანას რას იქმოდით თქვენს ცხოვრებაში რომ დაიწეროს რამე, ეს თუ დაიწერება, რომ გზაში დამხვდით და გამცარცვეთ.

—ეგეც კარგი იქნება.

—არა საყვარელო ჩემო, თქვენ არ ვარგიხართ, საგანის ასაღებად.

—მაშ სხვა რამ მაინც მოიგონეთ, ამ. მაგალითად ვითომც მე მომკლეს, ან ვითომც ბერათ შევსდექი, როგორც გინდოდეთ.

—არა მგონია, რომ შენი მზგავსი კაცი ბერათ შედგეს, სადაცა იქნებოდეს უფრო ბედნიერი, მაგრამ მეორეს მხრით კარგიც არის ბერად შედგომა, მინამ ტყეში სიკვდილი ავაზაკობაზე. აბა მიანბეთ თქვენს თავს გარდასავალი.

გზას გარდაუქციეს და შევიდნენ დახშულ ტყეში, სადაცა დასხდნენ ერთის ხის ძირს. თუდლი კაცი ისე დასჯდა, რომ ვინიცობა იმისთანა საქმე ყოფილიყო, ვერა ვის შეეძლო დაჭერა; პრევკომ ეს სიფრთხილე იმ კაცისა ვერ შენიშნა.

მე მქვან გაბრიელ, უთხრა თუდლმა; მამა ჩემი იყო...

რა უნდა გაეგრძელებინა ლაპარაკი, უცებ წამოხტა, ასე გაიქცა და დაიმალა, რომ პრევკომ თვალი ვერ მოასწრო, შემდგომ მიიხედა ნახა, რომ ტყის-მზვე-რავი მოვიდოდა, რომელსაცა კარგათ იცნობდა.

—ეს როგორ მომხდარა, უპატივცემულესო მამაო, ჰკითხა ტყის მზვერავმა, რომ შეჰყრიხართ მელასა? უთუოდ მცნობი უნდა იყოს, თორემ მაგასთან ლაპარაკი დიად ძნელია.

—მელასა? განიმეორა განკვირვებით პრევკომ, რო-

გორ თუ მელასა, –ამის სახელი ხომ გაბრიელ არის.

— ეგ! ეგ კაცი, დაიყვირა ტყის მზვერავმა. ეგ უპირველეს ავაზაკი არის, მრთელს ამ თემის მხარეს. აგერ ერთი თვეა ოცდა ათნი კაცნი აქა იქ დაფანტულები მაგას დავსდევთ და ვერ დაგვიჭერია ... უთუოთ წაგართოთ რაც რომ გქონდა.

— არც თუ მაგდენი, მიუგო პრევომ, უჩვენებდა რა თავის ქისასა და საათსა.

პრევო წავიდა შინა და მეორეს დღეს მოიტანა ოცდა ათი თუმანი და მოვიდა იმ ალაგსავე, სადაცა ხვდა გაბრიელ, მაგრამ გაბრიელ კი არ მოვიდა.

— საწყალი გაბრიელ, იძახდა პრევო. საცოდავს დასდევენ იასაულები დასაჭერათა და იქნება ამისთჳს დღეს არ მოვიდა. ხვალაც მოვალო ამ ალაგს.

კეთილი პრევო, არა თუ ინებებდა ფულის მიცემასა, რომლითაცა უნდოდა თავის ნათქვამის აღსრულება; ნახვაც კი უნდოდა გაბრიელისა და გაგება თავს რაც გარდახედოდა; ამასთანვე უნდოდა კიდეც გამოეცადნა მალი, უძვირფასესისა წყალისა. სიმრთელე აკლდებოდა, თავის ტკივილი მოსდიოდა და სისხლს არ იშვებდა, რადგანაც გაბრიელის ნახვის იმედი ჰქონდა. ერთხელ გაბრიელ მოვიდა იმ ალაგს, სადაც შეხვდა პრევო, მაგრამ ვერ ნახა მცირეხნის მეგობარი; ერთსა მცველსა ტყისასა ჰკითხა, რომელმაც უპასუხა,

— მღჳდელი პრევო გინდათ? დიდი ხანი არ არის, რაც იმ საწყალს მოუვიდა სიდამბლე, წაიქცა აქ ამ ხის ქჳეშ... მაგრამ ნუ შეწუხდებით, დაუმატა ტყის მცველმა. რა ამ მდგომარეობაში ვნახეთ, ავიკიდე მე და ჩემმა ამხანაგმა ზურგზე, და მივიტანეთ ახლოს სოფელში ერთს მღჳდელთან, რომელმაცა დააყენა ჰაქიმი.

გაბრიელ გაიქცა სოფელში, რომელშიაც უთხრეს

და მიასწრო იმ დროს, როდესაც საწყალობელი პრევო ყვირილით კვნესას აღმოუტევებდა. მართალია ადგა ჰაქიმი, რომელიცა ჰსწამლობდა, მაგრამ არ ვიცით რომლის მიზეზით დამალა ავათ მყოფი, რომელიცა ჯერ კი არა კვდებოდა და გულ შეწუხებული კი იყო. ჰაქიმმა დასჭრა დანა გულში საწყალს პრევოს რომელმაცა უკანასკნელად დაიყვირა და სულიც განუტევა! ამ სახით მოკვდა საწყალი პრევო, და იმაზე უმეტეს უსაკვირველესითა, რომელიცა წარიკითხვის იმის თხზულებაში. ქისაში უპოვნეს ოცდა ათი თუმანი, რომელიცა უნდა მიეცა გაბრიელისათჳს.

მთავრობა ტყუილად და ამაოდ ცდილობდა გაბრიელის დაჭერასა. რამდენსმავე წლისა, შემდგომ პრევოს სიკჳდილისა, ერთს პარიჟის მონასტერში ჰყიდდენ საკვირველსა წყალსა, ყოველს სნეულობისათჳს სასარგებლოსა, უმეტესად სიდამბლისათჳს. ეს წყალი შემზადებული იყო გაბრიელისაგან; ეს უნდა ვიცოდეთ, რომ ის წყალი იმ სასწაულით მოქმედებდა, როგორის სასწაულითაც მოქმედებენ სხუა წამლები, კაცთაგან შემზადებულნი ამისთჳს, რომ დაარჩინონ თავიანთ თავი. ახლა კი ის წყალი ესრეთვე დავიწყებულია, როგორათაც თხზულებანი, კეთილის პრევოსი.

## სულგრძელი ყასაბი.

ერთ ბაზრის თავში იყო სასწავლებელი, სადაცა იყვნენ მრავალნი ყმაწვილები, რომელთა შორის ერთი ძალიან ბეჯითი იყო და ის ბეჯითი მოწაფე ეკუთნოდა ყასაბსა.

ამ ყასაბს მიადგა ერთგზის ხნიანი დედაკაცი, რომელსაცა უნდოდა ხორცის სყიდვა, ყასაბი მიუა-

ხლოვდა ნახევარ შაყა ხორცსა, უნდოდა მოჭრა და თან დედაკაცს კელში უყურებდა ფულისათჳს.

—ხედამ გასპარ, რა შჳლი გყავს, ეუბნებოდა დედაკაცი: უმაწვილია, მაგრამ ღმერთმა მოგცეს, გუშინ სასწავლებელში ვიყავ, ვნახე და გაკოცდი იმის კითხვაზე.

—განა რომ გონებიანი შჳლი მყავს? მიუგო ყასაბმა.

—რასაკვირველია, მერე ისიც რა გონებიანი!

ყასაბმა დანა ცოტა წინ გადასდო მომატებით ხორცის მოსაჭრელად.

—მე ჯერ იმისთანა კარგის უმაწვილის მნახველი არა ვარ. მარტო იმისი შეხედულობა, რათაც უნდა ღირს!

—ჰმ! ჰმ! შეხედულობა! დედაშჳლობამ ჩინებული შჳლი მყავს, ამ სიტყვაზე დანა კიდევ წინ გარდასდო.

—უნდა გენახა თუ რა ქნა გუშინ! მამაო ჩვენო ზეპირათ წაიკითხა!

—განა რომ ზეპირათაც კითხულობს? ყასაბმა სიხარულით დანა მიიტანა და ნახევარ შაყა ხორცისა უნდა მოეჭრა.

—როგორი გამოთქმა აქჳს? წყალსავით ჩაუვლის ხოლმე. მე შენ გარწმუნებ, რომ ცოტას ხანს შემდგომს მდივანბეგობას მისცემენ.

—მშობელო, განა მდივანბეგათაც ივარგებს? წარმოსთქჳა ყასაბმა და დანა უფრო წინ წაიღო.

—რასაკვირველია, შჳლო გასპარ — მე შენ გარწმუნებ, რომ თავის დროზე მალიან დიდი კაცი შეიქნება, შუბლზედ ეტყობა.

—როგორ? დიდი კაცი შეიქნება?

—დედაშვილობამ, დღესვე შეუძლიან მდივანბე-

გობის თანამდებობის აღსრულება.

—დღესვე შეუძლიან მდივანბეგობა? დ ედამშვილობამ ასე გამახარე, რომ მეტი არ შეიძლება; წაიღე ეს ნახევარი შაური ხორცი მუქთათ და გასწიე შინათკენ.

ქ.

## რედაქციისაგან.

რედაქცია ქართულის სალიტერატურო ჟურნალისა «ც ი ს კ ა რ ი» განუცხადებს სასიამოვნოდ უ. უ. ჟურნალისა ამის მკითხველთა, რომ ამ დღეებში მივიღეთ ჩინებული თხზულება განთქმულის მრთელს ევროპაში მწერლისა ვილლიამ შექსპირისა «ჰამლეტი, დანიის პრინცი,» რომელსაცა გამზადებთ დასაბეჭდავათ. ეს არის სასიამოვნო რომ უასაკონი ყრმანიცა კი ცდილობენ დაცემულის ქართულის ლიტერატურის აღდგინებასა. ეს თხზულება არის გადმოთარგმნილი, საკეთილშობილო გიმნაზიის მეხუთე კლასის მოწაფის თ. მ. ფავლენის-შვილისაგან, თუმცა პროზათ არის ნათარგმნი, მაგრამ ! კმა-საყოფელად უთარგმნია და მდაბიურს ენაზედ ზემოხსენებულს ყმაწვილს — ყოველთათჳს გასაგონათ.

---

ჰსწავლა და კელოვნებაში დაბეჭდილი სტატია «მკითხველთადმი» წარმოგზავნილი რედაქციაში უ. სავანელისაგან, დავბეჭდეთ ისე, როგორც ნამდვილი იყო, გარნა განუცხადებთ როგორც ავტორს ამა სტატიისას, აგრეთვე სხუათა ჩუენის ჟურნალის მკითხველთა, რომ უკეთუ ამ გვარი სტატია მიიღებს პასუხს მისგნით ვისდამიცა ჯერ არს თავის უშესაბამო აზრისაგამო, მაშინ რედაქცია მოვალეობას იურის და გამოდის პასუხის-გებისაგან.

რ. ვერ.

# სარჩევი.

წარჩინებული სიტყჳერება.—პოეზია: I. მოთქმა გლახაკისა, (ივ. კერესელიძისა) 1.—II. გლოვა არშიაკისა, (დ. ლუქტორისა) 3.—II. (N.) 4. III. ვედრება, (თ. ალ. ჩიქოვანისა) 5.—ფარვანა და სანთელი, (თ. ბ. ჩ.) 6.—XI. ჭრიჭინა და ჭინჭველა, (თ. ალ. ჭავჭავაძისა) 9.—

პროზა: I. ცოლის სიყვარული, (გრ. რჩეულოვისა) 11.

სწავლა და ჴელოვნება: I. მკითხჳელთადმი, (ალ. სავანელისა) 25.—

სხჳა და სხჳა ამბავი: I. ფრანცუზის მწერალი პრევო, (კ.) 33.—II. სულგრძელი ასაბი, (მისივე) 41.

---

ამა სალიტერატურო ჟურნალის «ცისკრის» მომწერნი მსურველთა შეუძლიანთ ინებონ მოქცევა თხოვნითა რედაქციაში, ქ. ტფილისს; თავადის ალექსანდრე ვახტანგის-ძის ჯამბაკურიან ორბელიანის სახლებში. ფასი თორმეტის წიგნისა, ესე იგი: ერთის წლისა ექვსი მანეთი, ხოლო შინ გაგზავნით შვიდი მანეთი თეთრი ფული.